

# ვინ იყვნენ გერგეტელი საყდრისშვილები

ვლადიმერ (ტატო) სუჯაშვილი

(მოკლე ისტორია)



გერგეტის წმინდა სამება და მყინვარწვერი / წყარო: სტეფანწმინდის ისტ. მუზეუმი

გერგეტელ საყდრისშვილთა ვინაობის შესახებ, ზუსტ და პირდაპირ ინფორმაციას, გერგეტის სამების „მატიანე მოსახსენებელი სულთაი“ (XV-XVIII სს. საეკლესიო დოკუმენტი) არ გვაწვდის. სხვა ანალოგიურ შემთხვევათაგან განსხვავებით, სადაც ცნობები დეტალურია და ამგვარ პიროვნებათა იდენტიფიცირება პრობლემას არ წარმოადგენს, აქ გერგეტის „მატიანე“ ბევრს არაფერს გვიძხელს და გვიკონკრეტებს. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ისტორიულ წყაროთა გაანალიზებით, აგრეთვე ფოლკლორული მასალების მოშველიებით, ვეცდებით, აღვადგინოთ რეალური სურათი და გავარკვიოთ, თუ რომელი გვარები იგულისხმებიან ამ ტერმინს მიღმა, რა ევალუბოდათ მათ და რას ნიშნავს მოკლედ ცნება - „საყდრისშვილობა“.

## სოფელი გერგეტი

„პირველად მორიგემ ხთიშვილნი ზეციდან რომ გადმაუშვნა, მაშინ ისინი გერგეტს დააბინავა...» (60, 118), — მოგვითხრობს ღვთისშვილთა ამ ქვეყნად,

ადამიანთა მიწაზე, გამოჩენის ანდრეზი. გერგეტი ცასა და მიწას შორის არის აღმართული, ის დგას, როგორც დურანქი — «კავშირი ცისა და მიწისა» (ზ. კიკნაძე, xxxiii)

სოფელ გერგეტს გამორჩეული ადგილი უკავია ხევის ისტორიაში. სწორედ აქ „შვენიერ ნაშენი, შვენიერს ადგილს“ (ვახუშტი, 66-68) აღმართულია გერგეტის წმინდა სამების ტაძარი; „მონასტერი სამებისა, გუნბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად, სადაცა ესვენა ნინოს ჯვარი“ (ვახუშტი, 67). გერგეტის წმ. სამება მეთოთხმეტე საუკუნის ძეგლად მოიაზრება და მისი აგება საქართველოს მეფის, გიორგი ბრწყინვალეს სახელს უკავშირდება (იხ. სანიკიძე თ. გერგეტის ხუროთმოძღვრული ანსამბლი. -თბ., 1975). თეიმურაზ ბატონიშვილის „ისტორია ივერიისა“-ს მიხედვით, მთაზე სადაც ახლა გერგეტის სამება დგას, თავდაპირველად, ჯვარი მდგარა, რომელიც ანდრია პირველწოდებულს აღუმართავს („ისტორია ივერიისა“, სანქტ. პეტერბურგი, 1848 წ. გვ. 143). მრავლის მთქმელი ფაქტია ტაძარს მიშენებული - „საბჭო“ , მცირე ზომის ნაგებობა (XIV ს-ის პირველი ნახ.) სადაც ხევისბერთან ერთად თემის უხუცესები იკრიბებოდნენ და წყვეტდნენ ხევისათვის საჭირობოროტო საკითხებს; ამასთანავე, ადგენდნენ სამართალს სხვადასხვა ყოფით შემთხვევებზე.

თ. ჟორდანიას მიერ 1392 წლით დათარიღებულ მცხეთის საეკლესიო მამულების სიაში, ერთგან ვკითხულობთ : „არაგვის ხევს სოფელი გერგეტი; მონასტერი წმიდის სამებისა და უდაბნო მისის ეკლესიებითა, წ-ა ნინოს მოცემული ჯუართა ცხოველ ვაზითა და თმანი-თვისითა სოფლებითა; არაგუზე ციხე გერგეტაული“ {ამავე საბუთის მეორე პირი ამგვარად იკითხება : „არაგვის თავს ხევს - სოფელი გერგეტო, მონასტერი წი-სა სამებისა და უდაბნო, მისის ეკლესიებითა, ქალწულის მოცემული ნინო ქართველთა მნათის ჯუარი ცხოველი ვაზისა და თმანი, სოფელნი, აგარაკნი და ქუაბნი და დარანნი და სიმაგრენი; არაგუზე -ციხე გერგეტაული“} (ქრონიკები, ტ.2 გვ. 196).

კავკასიონის მიუვალი მთები ოდითგანვე ბუნებრივ საფარ-სამალავს წარმოადგენდა ქართველი კაცისათვის, რომელსაც გარს უამრავი მტერი ეხვია. გარდა ბრძოლისა და საკუთარი თავის ფიზიკურად, ხორციელად გადარჩენისა, ჩვენი წინაპრების მაღალ სულიერებაზე მეტყველებს ბეთლემის სამონასტრო კომპლექსი; მცინვარწვერის სამხრეთ-აღმოსავლეთ ქედზე. „მცინვარის კლდეა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა, გარდმოკიდებული ქვაბიდამ, და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა, მდგომს უსვეტოდ, უსაბლოდ, და სხვათაცა საკვირველთა. არამედ მე ვდუმებ“ (ვახუშტი, 67). სწორედ ბეთლემის გამოქვაბული და გადმოცემები იქ მოღვაწე ბერებზე, გახდა მუზა ილია ჭავჭავაძის „განდეგილისა“. 1947 წლის ნოემბერში, ალპინისტმა ლევან სუჯაშვილმა პირველმა შენიშნა ამ დროისათვის უკვე მივიწყებული ბეთლემის გამოქვაბული და იქიდან ჩამოშვებული რკინის ჯაჭვი. ამის შემდეგ, ბეთლემი გამოიკვლია ქართველ მთასვლელთა ჯგუფმა, ალ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით (იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1948 წლის 1 თებერვალი).



ფოტოზე, სავარაუდოდ გერგეტელ საყდრისშვილთა შთამომავალია აღბეჭდილი. ( ვ.ს)

წყარო: ეროვნული ბიბლიოთეკა.

## საყდრისშვილობის ინსტიტუტი

„დიდია წმინდა სამება ცისკიდურამდე ელავსო,

თავის ყმის გამჯავრებელსა ნაბადივითა სთელავსო”

(გერგეტულა)

საყდრისშვილები საეკლესიო აზნაურები იყვნენ, ერთგვარად -„ტაძრელი რაინდები” . ბ-ნი ბონდო კუპატაძე თავის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში, იქ სადაც მე-14, მე-15 ს-ის ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივ წყობილებაზე საუბრობს , აღნიშნავს : „შედარებით შეინარჩუნეს სოციალური სტატუსი საეკლესიო აზნაურებმა („საყდრისშვილები”), რომლებიც გამომდინარე ეკლესიის ცენტრალისტური და მეფისადმი დაქვემდებარებული პოზიციიდან, დარჩნენ სამეფო ხელისუფლების საყრდენ ძალად” (თბ., 2004, გვ. 109).

ქ. შარაშიძე წერს : „...საყდრისშვილები ფეოდალურ იერარქიაში ჩართულ ერთ-ერთ გავლენიან, პრივილეგიურ ჯგუფად გვესახებიან.... გერგეტელ საყდრისშვილობის შესახებ გავარკვიეთ, საყდრისშვილობა მცხეთისშვილობის მსგავს დაწესებულებას უნდა წარმოგვიდგენდეს... საყდრისშვილობაც , მსგავსად მცხეთისშვილობისა, საეკლესიო უმაღლესს ყმა აზნაურ მოხელეთა ჯგუფს უნდა წარმოადგენდეს... ბუნებრივია, რომ მცხეთის საკათალიკოსოს ამ სამფლობელოზედაც (სოფ. გერგეტი, წმ. სამების მონასტერი და აშ. /ვ.ს) იგივე ფეოდალური წესები ვრცელდებოდა, რომელიც ცენტრში იყო ჩამოყალიბებული. აქედან ცხადი ხდება აგრეთვე გერგეტელ საყდრისშვილთა შედარებით „დამოუკიდებლობა“- ისინი არიან არა საეპისკოპოსო საყდრის, არამედ მცხეთის საკათალიკოსო საყდრისშვილები, მცხეთაზე საკმარისად დამორებულნი ტერიტორიულად და მიმოსვლის სიძნელის გამო....” (მსკი, ნაკვ.30, 250-251). გერგეტელ საყდრისშვილთა საბუთში, რომელიც 1439 წლის 20 თებერვალს დაწერილა, ვკითხულობთ : „შევიყარენით ხევი ხეობით - კობით და გუელეთამდი. მზევლები მოგეცით თქ-ნ , გერგეტელთა საყდრისშვილ[თა]... ესე მზევლები ამათ საყდრის შვილობისათვის მივეცით, რომე მეფესა შეეწყალნეს და ებრძანა ჩ-ნ თანა... თრუსოველთაიცა- ხურთიელ [ყან]ობელთა მოიკიდეს” (მსკი, ნაკვ. 30, გვ.271-272). საყდრისშვილთა „ტაძრელი რაინდობა” ზემოთ შემთხვევით არ ვახსენე. აკ. კლიმიაშვილი მორიგე ლაშქრის საკითხისათვის (მე-18 ს.-ის მეორე ნახევარი) მსჯელობისას მიმოიხილავს ქართლის ოთხ სადროშოს(სამხედრო-ადმინ. ერთეული) და ამატებს : „ამ 4 სადროშოს გარდა იყო კიდევ მცხეთის ეკლესიის „დროშა”, რომელიც ერთ სამხედრო-ტერიტორიალურ ერთეულს არ წარმოადგენდა მცხეთის მამულების გაფანტულობის გამო; მცხეთის საკათალიკოსო ყმები ერთ „დროშაზე” იკრიბებოდნენ კათალიკოსის მიერ დანიშნული სარდლის ხელქვეით და უერთდებოდნენ მეფის სადროშოს. ამრიგად , მცხეთის ეკლესია ერთგვარ ქვესადროშოს ქმნიდა მეფის სადროშოში.”(მორიგე ლაშქ. გვ. 180). ნათელია, რომ ომიანობისას გერგეტელი საყდრისშვილნიც მცხეთის ეკლესიის „დროშაზე” შეიკრიბებოდნენ. ამაში გვარწმუნებს ერთი დოკუმენტიც. აი უკვე დაახლ. 1730-იანი წლებიდან გერგეტლები სალაშქრო ვალდებულებისაგან სრულად გაუთავისუფლებიათ , გარდა იმ შემთხვევისა თუ მტერი უშუალოდ ხევს და თრუსოს დაესხმოდა თავს. „...ასე რომე თათარნი ხევს გვართმევდნენ , სულ მოხვედით თქვენ თავი დასდევით , ჩვენი თავი ირჩივით. ახლა ეს წყალობა გიყავით, რადგან წ-ის სამების ყმანი დეკანოზნი ხართ, ჩვენც სხვაგან ლაშქრობა ამოგიკვეთეთ, საყდარი უნდა შეინახოთ ერთი, ასე რომ ხევს თუ მტერი მოუხდეს, ხევსა და თრუსოს, უნდა ილაშქრებდეთ, ამას გარდა სხვაგან თქვენ სალაშქროთ ხელი არა გქონდესთ და არც არავინ დაგპატიჟოსთ და გაგიყვანოთ. ამისთვის რომ საყდარსა და ხატსა კარგად და მაგრად შეინახვიდით...” (ქრონიკები, ტ.3, გვ.141). გერგეტის სამების მატთანეში ჩართული საბუთებიდან ირკვევა შემდეგი : საყდრისშვილებში არის იერარქია ანუ „უფროს-უმცროსობა” და ამასთან წევრები არიან როგორც სასულიერონი-„მღდელნი”, აგრეთვე საერონი-„ერისგანნი”. კათალიკოსი უშუალოდ ესაუბრება მათ და აძლევს საჭირო მითითებებს. „იყუენით საყდრისა შვილნი ერთსულობით : უფროსნი , უფროსად და უმცროსანი [?] , მღდელნი - მღდელთა წესითა და ერისგანნი - ერისგანთა წესითა”[მე-16, მე-17 სს.] (მსკი, ნაკვ. 30 , 1954 წ., გვ. 286).

სამართლითაც დიდადაა შეფასებული საყდრისშვილთა სისხლი ( მაგ. გერგეტელთა შემთხვევაში „სამ სისხლად“, „რომე: თუ ვისმე: თქუენი: განი: კაცი: შე[მოა]კუდეს: სამ სისხლად: აზლუევინეთ; “, იხ. მაკალათია, ხევი, გვ. 228). სისხლის ფასის სიდიდე, როგორც აკ. კლიმიაშვილი წერს „მოწმობს, რომ ისინი აზნაურები იყვნენ და ამდენად მათ ძირითად მოვალეობას ეკლესიის სამსახური და ლაშქრობა შეადგენდა. გერგეტის საყდრისშვილები როგორც ჩანს წარმოადგენდნენ ჰეროვანთაგან ე.ი თავისუფალ მწარმოებელთაგან გამოყოფილ წარჩინებულთა ფენას (ე.ი. აზნაურებს).” (ხელნაწ. ინსტ. მოამბე, ტ.3, თბ., 1961, გვ.102-103). ალ. ყაზბეგის მიხედვით მე-19 ს-ის 60-70-იან წლებშიც კი „ამ წმ. სამების მონასტრისათვის გერგეტლებს ... მთელს ხევში და თრუზოს [!] ხეობაშიაც კი კომლზედ ყოველ წლივ თითო მათარა (ე. ი. ფუთნახევარ ) ქერს აძლევენ“-ო. (მსკი, ნაკვ. 30, გვ.226). „წინათ... სამების დეკანოზები ამ ბეგარის ასაკრეფად ყოველ შემოდგომაზე ხევის სოფლებს თურმე დაუვლიდნენ. სოფლებში ერთ რომელიმე გვარს ჰქონდა დავალებული ამ დეკანოზების მიღება-გამასპინძლება. მაგალითად ხურთისში-ტუჩაშვილებს, ყანობში- ტატიშვილებს, ფხელშეში- ელოშვილებს, გორისციხეში- ჩქარეულებს და სხვა.”(ს. მაკალათია, ხევი, გვ.229).

### პირველი გერგეტლები



პეტროგლიფი გერგეტის წმ. სამების სამრეკლოზე, მონოგრამა - „სუჯა“

ფოტო : ვლადიმერ სუჯაშვილი

აკაკი შანიძეს 1913 წლის 21 ივლისს, მოხევე საბრალო არაბულისაგან(რანზული, ნარზული) მეტად საინტერესო გადმოცემა ჩაუწერია იმის შესახებ თუ როგორ მოხდა ხევის დასახლება. ლეგენდის მიხედვით დავით „ნეფესთან“ არაბეთიდან გამოქცეული კაცი მოსულა, სახელად გერგეტო.



„გადმოორდნილ“ კაცს მეფისათვის დასასახლებლად ადგილი უთხოვია. მეფეს დღევანდელი ხევის ტერიტორიაზე, „გრანიცაზე“ უბოძებია ნებისმიერი ადგილი, რომელსაც ისურვებდა სტუმარი. საბოლოოდ დღევანდელი სოფ. გერგეტის ადგილას პირველნი დამკვიდრებულან : გერგეტო (აქედან ამ სოფლის სახელწოდება), ზანგიოვი (ზანგიშვილი, ავტ.), შუჯაი და ირჯეული (ა. შანიძე, მოხეური , გვ. 198). „გადმოორდნილობა“ და მოსულობა ძველი დროის ერთგვარი მოდაა. მაგ. ბაგრატიონთა ებრაელობა, ორბელიანთა კიტაიელობა, ჩოლაყაშვილთა გენუზიელობა და ა.შ. ეს ლეგენდა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ინფორმაციას და მინიშნებას გვაძლევს თავდაპირველად გერგეტს მოსახლე გვარებზე, მათ ძირძველობაზე. მიუხედავად იმისა, რომ 1913 წლისათვის გერგეტს არც ზანგიოვი -ზანგიშვილები(?) ცხოვრობენ და აღარც ირჯეულები. ზოგიერთი ფოლკლორული მასალით, თითქოსდა ირჯეული გვარიც კი არ ყოფილა და ეს ხალხი , უბრალოდ ურჯულოები ყოფილან; გერგეტელთათვის ციხეც წაურთმევიათ, ხევის ცხოვრებაში შფოთი და არეულობა შეჰქონდათ... ამიტომ თემმა მათი თავიდან მოშორება გადაწყვიტა. მოისყიდა ირჯეულთა მწყემსი, ვინმე ქისტაური. ირჯეულთა უმეტესობა დახოცეს, ხოლო მცირე ჯგუფმა თავს გაქცევით უშველა (იხ. მაკალათია-ხევი, გვ. 128-130, ასევე, გ. ქერაშვილი-ხევი და მოხევეები, 2012წ., გვ. 181). ირჯეულთა წინააღმდეგ თავი გამოუჩენია- ბეკურაულს და წიკლაურს...

სამართლიანობა მოითხოვს, ზემოთქმულ „გადმოორდნილობის“ გადმოცემასთან მიმართებით, მოვიყვანოთ მცირე ამონარიდი „ქართლის ცხოვრებიდან“; დავით აღმაშენებლის მემატთანე, წერს - „ხოლო მეფესა გიორგის მოეხსენა ნადირობა აჯამეთისა, არღარას ზრუნვიდეს სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა და კახეთისა, არამედ ლაშქართა თურქთასა, რომელ ჰყვა, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქვეყანა იორის პირი კუხეთი, რომელი მოოხრდა მუნ დღეინდელად დღედმდე. ხოლო თვით გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხაზეთად”(„ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშ., ტ.1, 1955, გვ.322). სუჯეთი - „ივრის ხეობის ერთი სახელთაგანი იყო... და ამ სუჯეთში ცხოვრობდნენ სოჯნი=სუჯნი. ეს სოჯნი წმ. ნინომ მოაქცია, კაწარეთს (პატარძელის ზემო) რომ მივიდა” (მოსე ჯანაშვილი -„ქართველთა მატთანე“, 1903 წ. , გვ.54). გარდაცვალების წინ, მცხეთას გასაგზავნ წერილში, წმ. ნინო წერს - „ჰსენებულმცა არს საუკუნოდ კეთილთა შინა ღმრთისათა დედოფალი სუჯი, რამეთუ მოვიდა ჭემმარიტსა ქრისტეს სარწმუნოებასა და დამუსრნა კერპნი და მოუძღვა და მოიყვანნა ერნი ღმრთისანი ღმრთის მსახურებად” (უცნობი ავტორისეული ნინოს ცხოვრება, მე-13 ს. <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/29.tskhoreba-da-moqalaqoba-ghirsisa-da.pdf>). ბ-ნი გელა ქოქიაშვილი წერს - „ტოპონიმი სუჯი დღეს შემორჩენილია ხევში მცხოვრები სუჯაშვილების გვარში, რომელიც, ალბათ, აქედან არის ასული მთაში. ფუძე „სუჯ“ უნდა იმალებოდეს ტოპონიმ გარეჯში -„გარე სუჯი“. სხვათა შორის , სუჯეთის ტერიტორია გარეჯის სანახებსაც რომ წვდებოდა სამხრეთით, ამას კაწართის ეპარქიის ძველი საზღვრებიც ადასტურებს” („საერთო გაზეთი“, #39(168), 05.10-11.10, 2011, გვ. 22).

გერგეტს, დღესაც მკვიდრობენ სუჯაშვილები. ს. მაკალათია თავის „ხევში“ განსაკუთრებულ მადლობას უხდის მ. სუჯაშვილს რომელმაც მას მეფე ბაგრატ მეხუთის (1360-1395) მიერ გერგეტელთათვის ბოძებული, გაახლებული საყდრიშვილობისა და სამების დაცვის სიგელი გადასცა. „

1. ქ: ჩუენ: ღთივ: გუირგუინოსანმან:
2. მეფეთა: მეფემან: ბაგრატ: ესე: მტკიცე: [და:]
3. უქცეველი: ბზა: და: სიგელი: ამისად: ნიშნად:
4. გიბოძეთ: თქუენ: გერგეტელთა: საყდარი: შვილთა:
5. წმინდისა: სამებისა: მოსამსახურეთა:
6. საყდრი: შვილობა: ასრე: და: ამა: პირსა: ზედა: და:
7. რომე: თუ ვისმე: თქუენი: განი: კაცი:
8. შე[მოა]კუდეს: სამ სისხლად: აზღუევინეთ: ამისთვის:
9. რომე: ძუელი: სიგელიცა: გქონდა:
10. და ჩუენთა: გუართაცა: დაემტკიცნეს]
11. ვნახენით: სიგელი: და: გავსინჯეთ
12. და: დიდი: სისხლი: ეწერა თქუენი: [და]
13. ჩუენცა: ახლად: დაგიმტკიცეთ: ასრე:
14. და: ამა: პირსა ზედან: რომე ვინცა თქ
15. უენის ადგილისა: გერგეტელი: კაცი:
16. მოკლას: რა გუ[არი]...“

ს. მაკალათიასავე თქმით, სიგელი წინათ სამების დეკანოზებს ჰქონიათ ჩაბარებული, ამ დრომდე კი (1934წ.) სიგელი ტფილისში მ. სუჯაშვილის ოჯახში ინახებოდაო (იხ. ხევი. გვ. 228). აღნიშნული ფაქტი, როგორც ჩანს პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ჩვენი კვლევის საგანთან. გ. ქერაშვილი წერს : „სუჯაშვილების წინაპარი მღვდელი ყოფილა, რომელიც ხევში ქრისტიანობას ავრცელებდა. მის შთამომავლობას, ტაძრის მშენებლობის დამთავრების დღიდან, წმინდა სამების საყდრისშვილობის პრივილეგია ჰქონდათ, სათანადო სიგელით დადასტურებული; გიორგი ბრწყინვალემ და ბაგრატ მეფემ ტაძრის მოვლა-პატრონობა მათ დააკისრეს.“ (ხევი და მოხვევები, გვ.181-182). „ბეთლემში დაიარებოდა ის, ვისაც მემკვიდრეობით გადაეცემოდა მისი გზა-კვალის ცოდნა. როგორც გერგეტელნი ადასტურებენ მისი გზა იცოდნენ სუჯაშვილების გვარის წარმომადგენლებმა სასულიერო პირებმა („დარიალი”,1966,117)” ( იხ. ვ.ითონიშვილი-ხევის ტოპონიმიკა, 1971წ., გვ. 118-119). აგრეთვე გავრცელებულია ხალხური თქმულება, რომ გერგეტის სამების მშენებლობის დასრულების შემდეგ, მეფე გიორგი ბრწყინვალეს ტაძრის მოვლა-

პატრონობის საქმე ვინმე სუჯისათვის დაუვალეზია. ბეთლემის ტერიტორიაზეც „მხოლოდ ჩვენს მღვდელს შეეძლო ასვლა, რომელიც ჩემი მოგვარე იყო და მის ხელში ვიზრდებოდითო“. ვ. ფირანიშვილის სიტყვით, ასე უთქვამს 100 წელს გადაცილებულ მიხეილ სუჯაშვილს სამებაში სტუმრად მყოფ კონსტანტინე გამსახურდიასათვის (იხ. გაზეთი „თვალთაი“, 1996 წ. ნომერი 25, 4-10 სექტემბერი, გვ. 4). გერგეტშივეა ყუთარა სუჯაშვილის ნასაყდრალი, რომელიც მღვდელი ყოფილა და ამ საყდარში ძველად ჯვარსაც იწერდნენ. მეტად საინტერესო, ერთადერთი რელიეფური გამოსახულება შემოინახა ძველი ტიპის სახლმა სოფელ გერგეტში. ოჯახის დაცვის მიზნით, ორი გველის (ერთმანეთზე თავებ მიდებული და კუდებ მოკაუჭებული) გამოსახულება კარის თავზე. „ზოგჯერ შეძლებულ ოჯახზე იტყვიან, რომ იმ სახლში ფუძის გველია, მადლი და ბარაქა ტრიალებსო : „ბედრიანანო თქვენს ფუძის გველი არისო... საყურადღებოა, რომ სოფ. გერგეტში ი ა გ ო რ ა ს უ ჯ ა შ ვ ი ლ ი ს სახლის კარის ბჭეზე გამოსახულია ეს გველი“ (ს. მაკალათია, ხევი, გვ. 195). ჩემი დაკვირვებით, გერგეტის სამების სამრეკლოს ჩრდილოეთ ფასადზე არსებული მცირე პეტროგლიფი, მონოგრამაა, ორიგინალურად შესრულებული წერაქვეული და იკითხება, როგორც „სუჯა“ (უ+ჯ ლიგატურით, რომელიც ერთი შეხედვით, მთლიანობაში, პრიმიტიულად შესრულებულ მამაკაცის გამოსახულებას მოგვაგონებს). სოფელ გერგეტში, „გიასწვერის" მთის ფერდობებზე, „გიზირის" ( გზის ძირის ) წყაროდან ციხემდე (ციხე გერგეტაული) ძველად სულ უძილეთ (დიდი უძილენი - სუჯაშვილთა გვარის ერთერთი შტო) სათიბები ყოფილა და დღესაც უმეტესად ასეა. აღნიშნულ ტერიტორიაზე შემორჩენილია ძველისძველი, ჭაჭის ქვით (ფიქალი) ნაგები საგვარეულო საფლავთა ნაშთები. ამავე მთის დასავლეთ მხარეს, კლდოვან შვერილს, ადგილობრივები დღესაც „კომპალიას" უწოდებენ. ამ ადგილას უნდა არსებულიყო წინაქრისტიანული ხანის ქართული მითოლოგიიდან ცნობილი, დევებთან მეზრძოლ ღვთისშვილის კოპალას ნიში-სამლოცველო.

„გერგეტის სამების საპატიო ვალდებულება იყო საქართველოს, კერძოდ მცხეთის სამკაულთა და წმინდა ნინოს ჯვარის შენახვისა ომიანობის დროს. სამების მცველებზე ხალხში გავრცელებულია ასეთი თქმულება. სამების საყდრის ყმებად ოდითგანვე სუჯაშვილები ითვლებოდნენ და ყარაულობითაც ეს გვარივე ყარაულობდა ეკლესიას. ტაძრის გასაღები სოფელში ინახებოდა დეკანოზებთან. ერთხელაც ქიშტებს განუზრახიათ ეკლესიის გამარცვა და ჩუმად მიხტომიან მცველებს. დაუჭერიათ და გაუკოჭავთ, გასაღებს თურმე სთხოვდნენ. მცველებს უთქვამთ ჩვენ გასაღები არ გვაქვსო. დიდი წამების მერე ერთ-ერთ მცველს უთქვამს ადით ეკლესიის სახურავზე და იქ ნახავთ სარკმელს და იქიდან ჩამოხვალთო. მართლაც, ასულან ქიშტები და უნახავთ ორი სარკმელი. ჩაუხედავიათ ორივეში და დაუნახიათ ერთ-ერთში კიბის ჩრდილი. ჩასულან ამ სარკმლიდან და დახოცილან. თურმე ისეთი ნაგები ყოფილა სამება რომ იმ სარკმელში სადაც კიბის ანარეკლია, სინამდვილეში არაა კიბე და დაბლა დიდი ხანჯლები იყო დაგებული. ხოლო მეორე ბნელი სარკმელი კი მართლა ჩასასვლელი იყო ტაძარში. მცველების შემცვლელები რომ მოსულან, ამოუტანიათ გასაღები დეკანოზთან ერთად და ხმალ-ხანჯალზე



აგებული ქურდები უნახავთ”. (გენო სუჯაშვილი, <http://www.kazbegilag.ge/ge/stories/gergeti>).

სუჯაშვილთა გვარის შესახებ რ. თოფჩიშვილი წერს : „...1774 წლის აღწერით გერგეტში ყველაზე დიდი გვარი სუჯაშვილების გვარი იყო. 1886 წ. საოჯახო სიებით სუჯაშვილები 30 კომლს ითვლიდნენ. ეთნოგრაფიული მასალებით, სუჯაშვილები ხევის ერთ-ერთი ძირძველი მკვიდრნი არიან. ა. შანიძის მასალით ხევის პირველმოსახლენი ყოფილან : ზანგიოვი, შუჯაი და ირჯეული. გადმოცემით სუჯაშვილების გვარის წინაპარი მღვდელი ყოფილა, რომელიც ქრისტიანობას ავრცელებდა. გერგეტელი სუჯაშვილები ბარშიც გადასახლებულან, რომლებსაც გვარი შეუცვლიათ. ეთნოგრაფიული მასალებით, ბაზალეთის სოფ. ბაგაში მოსახლე ცქიმანაურების ადრინდელი გვარი სუჯაშვილი ყოფილა. მთხრობელის სიტყვით : „სუჯაშვილები ხევში თურმე მოჭარბებული ხალხი იყო. ადგილმამული არ ჰყოფნიდათ. ამიტომ ერთი მათგანი წამოსულა და სოფ ბაგაში დასახლებულა, სადაც მას თავისი გვარი ცქიმანაურით შეუცვლია”. 1781 წელს ბაზალეთში (საშაბუროს) ცქიმანაურის სამი ოჯახი მკვიდრობდა. ე.ი. ცქიმანაურ-სუჯაშვილების ხევიდან ბარში მიგრაცია მე-17, მე-18 სს. მიჯნაზე უნდა იყოს საგულვებელი” (ქართ. გვარსახელების ისტ., 2003 წ., გვ. 76). აქვე მსურს, დავაფიქსირო პირადი მოსაზრება, რომ არაგვის ერისთავთა მიერ ხევის მიმართულებით გააქტიურება მე-17 ს-ის დასაწყისში და მცდელობა ხევის დამორჩილებისა (რაც როგორც სჩანს, ერისთავებმა მცირე ხნით შეძლეს) აუცილებლად გამოიწვევდა გარკვეულ დაპირისპირებას და მიგრაციულ პროცესებს სოფელ გერგეტშიც. ასე მაგალითად ანდრეხებით, სოფ. ჯუთაში ხევსური არაბულები სწორედ ზურაბ არაგვის ერისთავის დროს არიან ჩასახლებულები (გ.ქერაშ. 176-177). ს. მაკალათიას „ხევშიც”, ყაზბეგის თემის სოფლებში მოსახლე გვარების ჩამოთვლისას, ვკითხულობთ : „ჯუთა - არაბული, წიკლაური (ხევსურებია)”; შენიშვნიდან ვიგებთ, რომ : „ჯუთასა და ართხმოში ცხოვრობენ გადმოსახლებული ხევსურები” (გვ. 19). იგივე გვარების(არაბულები, წიკლაურები) გერგეტს მოსახლეობა ანალოგიურად მათ ხევსურეთიდან მოსულობას გვაფიქრებინებს. ეს მიზანმიმართული კამპანია იყო ხევის დასამორჩილებლად. ვვარაუდობ, ირჯეულთა და სუჯაშვილთა (შემდეგში ცქიმანაურთა) ნაწილის აყრა საკუთარი მიწებიდან და გადასახლება, კავშირში უნდა იყოს მე-17 ს-ის ცნობილ მოვლენებთან. სწორედ ამ პერიოდის ამბებს მიუძღვნა ალ. ყაზბეგმა საკუთარი ნაწარმოები - „ხევისბერი გოჩა”.

### 1774 წლის აღწერა

გერგეტელ საყდრისშვილთა ვინაობის დასადგენად, გარკვეულწილად დაგვეხმარება ერეკლე მეფის ბრძანებით, 1774 წელს (1 იანვარი) ჩატარებული „აღწერა არაგვის ხეობისა”, რომელიც ე. თაყაიშვილის რედაქტორობით დაიბეჭდა 1907 წელს („მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში”, გვ. 407-409).

აღწერაში ვკითხულობთ : „ხევის გერგეტს არაგვის ერისთვიანთგან შეწირული წ მ ი დ ი ს ს ა მ ე ბ ი ს ყ მ ა (ხაზგასმა ჩემია, ვ.ს.) ამათივე სახელო : ... ” 1774 წელს სოფელში სულ 28 კომლი და 55 „თავია”. „იქმნა ჯამი მემკვიდრისა ობლისა გ (3)”. აღწერა სუჯასშვილთა გვართ იწყება : „სუჯასშვილი ბერი, .. ძაი და ლომი, .. სეხნია, მათაი და გიორგი, .. მღვდელი იაკობ, ხახუა და ბერი, .. მღვდელი მარკოზ, .. ივანე, .. ბერუა და მათაი, .. ბერი, .. დავით, უძილა და რუხია, .. ივანე, .. კუთარა”(გვ.407-408). სუჯასშვილები - სულ 11 კომლი, 19 თავი. ამათგან იხსენიება ორი მღვდელი (სუჯასშვილი იაკობ, სუჯასშვილი მარკოზ). აღნიშნული ფაქტიც უმნიშვნელო არ უნდა იყოს ჩვენი საკითხის გამორკვევისათვის.



გერგეტი, „სუჯასშვილების სახლი” ; წყარო: სტეფანწმინდის ისტ. მუზეუმი

გერგეტშივე 1774 წელს სახლობენ „ჩიბუანთ”- ჩიბაშვილები (მამუკასშვილი-ბერი, მამუკა და გლახა; ზაქარიასშვილი-თათაი; მამუკასშვილი-გია და იოსებ; ბუსასშვილი-ნასყიდა და ბეჟან; ელისშვილი-გიორგი; სუხასშვილი-ხახაი, მარტია და გერი) სულ 6 კომლი და 12 თავი (სოფ. ქობიდან არიან გადმოსულნი); იქვე, ხუციშვილები (პოვლე და ბერი; ბერი, პაპა და ნელო; ლაზარე, გიორგი და ივანე; ბიძინა და ნია) სულ 4 კომლი, 10 თავი; იქვე, ქისტაურები (პეტიაშვილი-ქისტაური და პეტრე; პეტიაშვილი-ნასყიდა) სულ 2 კომლი, 3 თავი; იქვე, წიკლოური (ცანცუკასშვილი-ხოტა)=ეგუასშვილი(ჭოჭა,ბერი და გიორგი) სულ 2 კომლი, 4 თავი; იქვე, რანბულიშვილი (დათუნა,გელა,ქრისტესია და მადლია), რანბული (არაბული ვ.ს) (პაპასშვილი-კაბილა; თვალასშვილი-პაპუა და ივანე) სულ 3 კომლი, 7 თავი.

„მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ მღვდელი იოსებ მოხევე (სუჯასშვილი) შერაცხილ იქნა წმინდანად. წმიდა იოსებ მოხევის ხსენების დღედ 20 ოქტომბერი განაწესეს. დაიწერა მისი ხატი წარწერით : „ღირსი იოსებ მოხევე საკვირველმოქმედი” ( იხ. „ჩემი გიმნაზია”, ნომერი 2 , 2014 წ. თებ.). „იოსებ მოხევე გვარად სუჯასშვილი ყოფილა” (მეუფე იობი, მროველ-ურბნელი მიტროპოლიტი; <https://www.youtube.com/watch?v=k8xxusYUFo4>). „ მეფე გიორგი XII-ის უფროსი ძის დავით ბატონიშვილის (1776-1819 წწ.) ცნობით, იოსებ მოხევე „იყო ფრიად

სიწმიდის მოყვარე და მემარბულე, რომელ ყოველგან განითქვა სათნოება ამისი. ესე ნებითა ღმრთისადათა აღვიდა მყინვარსა მთასა შინა, კაცთაგან შეუვალსა, და იხილა მუნ კარავი და აკვანი აბრაამ მამათავრისა, რომელ ჯერეთცა არავინ აღსრულ არს მთასა მას და მოართო მეფეს ირაკლის ნაჭერი კარვისა მის. და ესეცა მიიწია საზომსა სასწაულთმოქმედებისასა და ესრეთ უფლისად დაიძინა“ (ღირსი იოსებ ხუცესი, მოხევე, საკვირველთმოქმედი (+1763) „ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი“, თბილისი, 2004 წ.). ხალხური გადმოცემებითაც, იოსებ მოხევე (სუჯაშვილი) ყოფილა პირველი ადამიანი, რომელმაც მყინვარწვერი დალაშქრა. იგი 1763 წელს გარდაცვლილა და დარჩენია შვილი მარკოზი... „ისიც მღვდელი იყო და მსახურობდა წმიდა სამების ტაძარში. მარკოზ სუჯაშვილი ერთ კვირას მარხულობდა, უმძრაობდა, რძეში ბანაობდა და ბეთლემში ასე გაწმენდილი ადიოდა“ („ჩემი გიმნაზია“, 2014 წ., ნომ. 2, თებ.). სავარაუდოდ ეს პიროვნება 1774 წლის აღწერაში მოხსენიებული, მღვდელი მარკოზი შეიძლება იყოს.

როგორც ამბობენ, სწორედ მარკოზ იოსების ძე სუჯაშვილი ყოფილა უკანასკნელი გერგეტელი საყდრისშვილი და მას მერე აქ ტ რ ა დ ი ც ი უ ლ ი ს ა ს უ ლ ი ე რ ო მოღვაწეობა აღარ გაგრძელებულა. მთავარი მიზეზი ამისა კი რუსეთთან საქართველოს შეერთება და ამ შეერთებით გამოწვეული შედეგები ყოფილა. 1810-იან წლებშიც კი გერგეტში მღვდელი სფირიდონ სუჯაშვილი იხსენიება („ივერია“ #117, ივნისი 7, პარასკევი, 1902 წ.) თუმცა, როგორც ჩანს „რუსობაჩი თარხნობა გაუცუდდათ“ (ილია) გერგეტის საყდრისშვილებსაც.

#### ბიბლიოგრაფია

1. მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში - ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბილისი 1907, გვ. 407-409.
2. მსკი , ნაკვ. 30 , თბ. 1954 წ., გერგეტის სამების „მატიანე მოსახსენებელი სულთაი“, გვ. 217-288, (ქ. შარაშიძე).
3. ხელნაწერთა ინსტ. მოამბე, ტ.3 , თბ. 1961, საეკლესიო ლაშქრის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში- ა. კლიმიაშვილი, გვ. 102-103.
4. ს. მაკალათია - ხევი , ტფ. 1934.
5. ვ. ითონიშვილი - მოხევეების საოჯახო ყოფა , თბ. 1970 წ., გვ.19, 31, 67.
6. გ. ქერაშვილი - ხევი და მოხევეები, თბ., 2012 წ., 181-183.
7. ქართული გვარსახელების ისტორიიდან... - რ. თოფჩიშვილი, წიგნი 1, თბ., 2003 წ., გვ., 76.
8. ა. შანიძე - მოხეური, თხზ. ტ.1, თბ., 1984 წ., გვ. 198.
9. ხელნაწ ინსტ. მოამბე , 5 , თბ. 1963, გვ. ა. კლიმიაშვილი- მორიგე ლაშქრის საკითხ... ,გვ., 179.
10. თ. ჟორდანია -ქრონიკები, წიგნი 2, ტფ. 1897, გვ.196.
11. თ. ჟორდანია - ქრონიკები , წიგნი 3, ტფ., 1967, გვ. 141, 406.
12. ვ. ითონიშვილი- ხევის ტოპონიმიკა , თბ., 1971, გვ. 118-120.

13. გაზეთი „ჩემი გიმნაზია“, წმიდა იოსებ მოხევე (სუჯაშვილი), სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია, ნომერი 2, თებ., 2014 წ.
14. ვალერიან ფირანიშვილი- შეხვედრები კონსტანტინე გამსახურდიასთან, გაზეთი „თვალთაი“, 1996 წ., 25, გვ., 4.
15. ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გეოგრაფია , 1941 წ. გვ. 66-68.
16. ზურაბ კიკნაძე , ქართული მითოლოგია I , ჯვარი და საყმო, ქუთაისი 1996 წ., გვ. Xxxiii , ([https://tsu.ge/data/file\\_db/library/kartuli%20mitologia.pdf](https://tsu.ge/data/file_db/library/kartuli%20mitologia.pdf) ).